თამაზ ნუცუბიძე
11.09.2021 – 24.10.2021

ელ ცე კვაისარი, გალერეა ნექტართან თანამშრომლობით, მასპინძლობს აწ გარდაცვლილი ხელოვანის თამაზ ნუცუბიძის გამოფენას (1940-2002 წწ.), სადაც წარმოდგენილია დეკორატიული ტექსტილისა და გობელენის აღდგენილი სერია, მდიდარ საარქივო მასალასთან ერთად.

ნუცუბიძე ერთერთი პირველი იყო, ვინც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ახლად დაფუძნებულ ქსოვილის მხატვრული გაფორმების ფაკულტეტზე ისწავლა, რომელიც 1959 წელს შეიქმნა საგანმანათლებლო სისტემის განახლების და დაწესებულების დახურვისგან გადარჩენის მიზნით. იმის ნაცვლად, რომ გაჰყოლოდა წინასწარგანსაზღვრულ ინტერესს - გრაფიკას, მან ტექსტილის დიზაინი არჩია, ვინაიდან დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების სფეროში მეტი შესაძლებლობა იყო ალტერნატიული მხატვრული თავისუფლების, რათა თავი დაეღწია საბჭოთა სახვითი ხელოვნების მკაცრი მარწუხებისგან და თავსმოხვეული სოციალისტური რეალიზმისგან, რომლის ხატოვანებაშიც ეგულებოდათ მათ ნუგეში. ამ პერიოდის მრავალმა ხელოვანმა შეაფარა თავი დეკორატიულ სფეროს, ხელოვნების ფორმების მავნე იერარქიული წყობის გამო. გაჩნდა შანსი მრავალწლოვანი ქსოვის ტრადიციის ახლებური გადააზრების, რომელიც ძლიერ ინდუსტრიალიზებულ მედიუმად ჩამოყალიბდა, რათა დასულიყო მეტად მხატვრულ და თანამედროვე ფორმამდე, ამასთანავე დაბრუნებოდა ხალხური პრაქტიკის საწყისებს, მისი ესთეტიკური ღირებულების და კანონზომიერების გადაფასებით. ამიერკავკასიაში ხალიჩების ეთნიკური წარმოშობის დადგენის სისტემის ხარვეზები, რასაც თან ერთვის საბჭოთა პერიოდის კულტურული ასიმილაციის მცდელობები, განაპირობებს XX საუკუნის გამოყენებითი ქსოვილის, ხალხური ხალიჩის თანამედროვე ინტერპრეტაციის უფრო და უფრო კულტურულად შეჯვარებას და შესაბამისად, კონტექსტუალურ აბსტრაგირებას.

ნუცუბიძე იკვლევს ფარდაგებსა და ხალიჩებს საქართველოს აღმოსავლეთ მთის რეგიონიდან (თუშეთი, ალვანი, ფშავი, ხევსურეთი, ყაზბეგი). მისი ნამუშევარი "თუშური მოტივები" (1978 წ.) არის მხატვრული ძალისხმევის შედეგად მიღწეული ინდივიდუალიზაციის შესანიშნავი მაგალითი, ადგილობრივი ტრადიციის კვლევისა და კომპოზიციური დეკოდირების გზით. მუქი ლურჯი შალის ქსოვილი რაციონალურადაა აგებული და მორთული ისეთი გეომეტრიული მოტივებით, როგორიცაა ბორჩალოს ფარდაგებზე ნაპოვნი 'მემლინგის ვარდი' (memling gül) და 90 გრადუსიანი კაკვები. ის ინარჩუნებს მთის ტრადიციისა და ქართული ხალხური კოსტიუმისთვის დამახასიათებელ გრაფიკულ გამომსახველობას. ელეგანტური ფერთა სქემა შედგება შეკვეცილი რაოდენობის ბუნებრივი ტონებისგან - მუქი ლურჯი, თეთრი, ყვითელი და ღვინისფერი, რაც ორგანულად ერწყმის თუშურ ჩვეულებას და მის განყენებულ, თუმცა სიმშვიდისმომგვრელ ხასიათს. ნამუშევრის კომპოზიციური ლაკონიზმი არის შესაფერისი თანამედროვე გადაწყვეტა ხალხურ მედიუმში, პიქსელურად-ორგანიზებადი სივრცითი ელემენტისთვის მართებული მიდგომის პარალელურად.

ნუცუბიძე გობელენის შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს - არსებითად ბრტყელი ფერწერა; აფასებს მედიუმის დუალურობას მისი პრაქტიკული და იდეოლოგიური გაგებით, რითაც მის ნამუშევრებს აძლევს გასაქანს გასცდნენ

დეკორატიულობას და იმ კონტექსტს, რაც მათ შექმნას ახლდა. ბალტიისპირული გავლენით, ნუცუბიძე უარყოფს რეალისტურ მოცულობით ტექნიკას, დისტანცირდება ფიგურაციისგან და პერსპექტივის გამოსახვის საბჭოთა ტენდენციისგან, არ აიძულებს გობელენს გახდეს ფერწერა. ფერისა და ფორმის წმინდა კვლევა და იდეის აბსოლუტური ემანსიპაცია მისი კოლექტიურად მინიჭებული ხატებისგან პიკს აღწევს მის 1988 წლის გობელენის სერიაში "წელიწადის დროები". სერია, შემდგარი ოთხი სეზონური ნამუშევრისგან, რომელთაგან ორის "ზამთარი" და "გაზაფხული" ადგილსამყოფელი უცნობია, გამოფენისთვის აღადგინა მისმა ვაჟმა, ბექა ნუცუბიძემ, თამაზ ნუცუბიძის თავდაპირველი ესკიზებისა და უკვე იშვიათობად ქცეული შემორჩენილი ორგანული მასალის გამოყენებით. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ოთხივე ნამუშევარი თავს იყრის ერთ სივრცეში.

დრო, როგორც საყოველთაო თემა, რომელიც ხშირად მეორდება ბალტიისპირულ გობელენებში, ძირითადად ლატვიაში, თავს იჩენს ნუცუბიძის შემოქმედებაშიც, სეზონების, მზის ჩასვლა-ამოსვლის, სიბნელე-სინათლის და სხვა მუდმივი ცვალებადობების გამოსახვით. ნუცუბიძის პრაქტიკის განმავლობაში დროის ვიზუალური გაშინაარსება თანმიმდევრულ მეტამორფოზაშია. მის წინა ნამუშევრებში იგი რამდენჯერმე შეეხო დღის სხვადასხვა მონაკვეთს, ერთ-ერთი მაგალითია 1978 წლის ხალიჩა "ღამე", რომელიც თუშური მოტივებით შესრულებულ მის გობელენებსა და ესკიზებს წააგავს. ლურჯ ტონებად დაფერილ სიბრტყეს შუაზე ჰყოფს მთვარისფერი რომბი, მცირე რომბები მიმოფანტულია ვერტიკალური ხაზის გასწვრივ, ორი მათგანი კი დაფიქსირებულია შალის ხალიჩის დასავლეთ და აღმოსავლეთ პოლუსებზე. ნუცუბიძემ გააფართოვა პარალელიზმზე დაკვირვება ფერისა და კომპოზიციის ღერძებს შორის. მხატვარი იკვლევს გრადაციის ფენომენს, დაპირისპირებებს და წარმავალი, აწმყო და მომავალი მომენტების არსებით ერთობას. ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას შორის განმეორებითი ეპიზოდების საჩვენებლად, დიზაინის რეკონსტრუქცია ხდება ურთიერთშექცევადი ცვლადებით, რაც აშკარად ჩანს ამავე სერიის მოსამზადებელი ესკიზების ვარიაციებში. ბოჭკოვანი ქსოვისთვის სახასიათო გამრავლების მათემატიკური პრინციპიდან - უსასრულობის კოლორისტულ და სივრცით დეკონსტრუქციამდე, ფერთა მოწესრიგებული ხაზები, პოეზიის სტრიქონების მსგავსად, ქმნიან ჰიპნოზური ჰარმონიის მეტაფიზიკურ რითმას. ფერის მკაფიო ბლოკები დაფარულია სეზალის კვანძების ფარდისმაგვარი ფენით, ხოლო შიშვლადდატოვებული კონსტრუქტივისტული აქცენტები ქმნის ძლიერ ჩარჩოს, რომელიც ანალოგური ფირის კიდეებს წააგავს. გობელენზე კვანძების ეს მარტივი, მაგრამ გამჭრიახი გამოყენება ქმნის იდეალური გრადაციის ილუზიას, ხელით შეღებილი სიზალის ძაფების ხშირი გამჭვირვალე ფენის მიღმა. ტექსტურის ექსპერიმენტული გადაწყვეტა ტექსტილის ხელოვნების ბრტყელ გაგებას უარყოფს. მტკიცე, თუმცა ამავდროულად უკიდურესად ფლუიდურ ნამუშევარში, ვლინდება ნუცუბიძის მიერ მედიუმის არაორდინალური მოხელთება.

ქართულ გობელენს ყოველთვის ჰქონდა საგამოფენო და დეკორატიული დანიშნულება, უტილიტარული და მხატვრული, რომელიც განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი დაწესებულებების არქიტექტურული ინტერიერისთვის. 60-იანი წლებიდან დაწყებული, ამგვარი გამოყენებითი ხელოვნება ხელშეწყობილი იყო საბჭოთა ქვეყნებში; მხატვრული გობელენები ძირითადად ამშვენებდა საზოგადოებრივ ინტერიერს, რესტორნებს, სასტუმროებს, საზოგადოებრივ დარბაზებსა და ლობებს. საზოგადოებრივ დეკორაციებზე გაზრდილი მოთხოვნით, გობელინი გახდა აუცილებელი, მაგრამ რაც მთავარია, სინთეტიკური მედიუმი, რომელიც ხელოვანს

საშუალებას აძლევდა სრულად აეთვისებინა სივრცე; ინტერიერის არქიტექტორიდან დაწყებული ბოლო მინიატურულ დეტალამდე, რაც იდეურად იმეორებდა ქსოვილის ინტეგრალურ სტრუქტურულ ალგორითმს. ნუცუბიძემ მოაწყო უამრავი სამახსოვრო სივრცე: რესტორანი "დარიალი", თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია, თბილისი, ოლიმპიური თამაშები, მოსკოვი, ფედოროვის სახელობის ოფთალმოლოგის კლინიკა, მოსკოვი, რუსთავის თეატრი, სიმფონიური მუსიკის ცენტრი, თბილისი. მისი არქივის დათვალიერებისას, წააწყდებით მომხიბვლელი ინტერიერების ფოტო დოკუმენტაციას, სადაც იგრძნობა მისი თანამედროვე დამოკიდებულება სივრცესთან - მულტიმედიური არტისტის სრული ჰიბრიდულობით. ის ექსპერიმენტებს ატარებდა გრაფიკაში, აკეთებდა ესკიზებს გუაშში. მისი ტექსტილის პროექტებისთვის ჩანაფიქრი გადიოდა მრავალჯერად მანიპულაციას, თუმცა წარმოების პროცესში იმპროვიზაციისთვის კვლავ დიდი სივრცე რჩებოდა. მისი გენიალური ჩანახატები ხასიათდება ტექსტილის რეალისტური ტექსტურით, თუმცა რჩება ორგანზომილებიანობის მატრიცაში. ნუცუბიძემ შეისისხლხორცა მედიუმი და მისცა მას თავისუფლება მომწიფებულიყო მისი ჭეშმარიტი ტევადი ფორმით. სხვა ექსპერიმენტებთან ერთად ის დაინტერესებული იყო ბეჭდვით, ტრადიციული ქართული ლურჯი სუფრების ტექნოლოგიის ხელახალი ფორმულირებით და მუშაობდა წიგნის ყდებზე. ნუცუბიძის გუაშში შესრულებული ზოგიერთი ნამუშევარი ინსპირაციას იღებს საბჭოთა მოზაიკიდან, რაც იკითხება დეკორატიული ფიგურების მკაფიო მახასიათებლებში, ნაკვთებში, რასაც ასევე ვხვდებით საბჭოთა მონუმენტურ პლაკატებში. ნუცუბიძე გამორჩეული ფიგურაა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მეოცე საუკუნის საბჭოთა სახელოვნებო სივრცეში. თამაზ ნუცუბიძის უწყვეტი პრაქტიკა ირეკლავს მის გარემო ტენდენციებს, ქართულ მემკვიდრეობას და ადგილობრივ იდენტობას, მთავარი მხატვრული მიგნება კი მისი მარადიული აბსტრაქციებია.

გამოფენების ჩამონათვალი, რომელშიც ის მონაწილეობდა, მოიცავს შემდეგ ექსპოზიციებს: გამოყენებითი-დეკორატიული ხელოვნების რესპუბლიკურ გამოფენა, თბილისი, 1967; სსრკ დეკორატიული ხელოვნების გამოფენა მანეჟში, მოსკოვი, 1968; საბჭოთა კავშირის დეკორატიული ხელოვნების გამოფენა, ბერლინი, 1969; სსრკ გობელენის გამოფენა, მოსკოვი, 1971; სსრკ II გობელენის გამოფენა, რიგა, 1974; სსრკ გამოფენა მანეჟი, მოსკოვი, 1974; ქართული გობელენის სხვადასხვა რესპუბლიკური გამოფენები თბილისში; სსრკ გამოფენა მანეჟი, მოსკოვი, 1986; პერსონალური გამოფენა, მზიური, თბილისი, 1992; ქართული გობელენის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენა, თბილისი, 1997; I/II/III ტექსტილის ფორუმი, თბილისი, 1997/1999/2001; გამოფენა გაეროს სახლში, თბილისი, 2000; გობელენის ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა "ლოზანიდან პეკინამდე", 2000; გობელენის მუზეუმის გახსნა, თბილისი, 2001; სოლო შოუ ეროვნულ გალერეაში, თბილისი, 2002; სოლო შოუ თბილისის სახვითი ხელოვნების აკადემიაში, 2010; ლისტე ბაზელი, შვეიცარია, 2014 და გალერეა ნექტარი, თბილისი, 2018. თამაზ ნუცუბიძის თანამშრომლობა თბილისის სახვითი ხელოვნების აკადემიასთან გაგრძელდა ტექსტილის განყოფილების ლექტორის ამპლუაში 1995 წლამდე, რის შემდგომაც გახდა გობელენისა და მხატვრული ქსოვილების დეპარტამენტის დეკანი 2002 წლამდე, მის გარდაცვალებამდე.

განსაკუთრებული მადლობა ბექა ნუცუბიძეს გალერეასთან თანამშრომლობით გობელენების "ზამთარი" და "გაზაფხული"-ს რეპროდუქცირებისთვის.